ხელშეკრულება გაუნათებელი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ღერების სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე N60-7-221-106

ქ. თბილისი 26 თებერვალი, 2021 წელი

ერთი მხრივ, შპს "მაგთიკომი" (შემდგომში - "**შემსრულებელი**") - ავტორიზებული იურიდიული პირი, ს/კ 204876606, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. N7, 0186, ოფიციალური ინტერნეტ გვერდის მისამართი: www.magticom.ge (შემდგომში - **შემსრულებლის ვებ-გვერდი**), 24-საათიანი ცხელი ხაზის ნომერი: +995 32 217 00 00 ან 11 00 11 (შემდგომში - **ცხელი ხაზი**), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის **ზურაბ ზარიძის** სახით და მეორეს მხრივ,**სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"**, ს.კ: 204995176, საკორესპოდენციო მისამართი: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2, (შემდგომში "**დამკვეთი**"), წარმოდგენილი მისი მმართველთა საბჭოს წევრის **დავით ვარდიაშვილის** სახით (მინდობილობა N200878077), ვმოქმედებთ რა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 სექტემბრის „საკომუნიკაციო მომსახურების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ" N1805 განკარგულების შესაბამისად.

1. ტერმინთა განმარტება.

1.1 წინამდებარე **ხელშეკრულებაში**, **შეკვეთის ფორმაში** ან/და **ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ **მომსახურების** გაწევასთან დაკავშირებით **მხარეების** მიერ გაფორმებულ სხვა დოკუმენტებში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ ქვემოთ განსაზღვრული მნიშვნელობა, (ტერმინები, რომლებიც არ არის განმარტებული წინამდებარე **ხელშეკრულებით**, განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად):

1.1.1 **მომსახურება** - ოპტიკური ღერებით სარგებლობის უფლების მინიჭება, **ინსტალაცია**, მხარდაჭერა;

1.1.2 **დამკვეთის ღერ(ებ)ი** - **კაბელში** არსებული ერთი ან ერთზე მეტი გაუნათებელი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ღერი, რომელიც არის **კაბელის** განუყოფელი შემადგენელი ნაწილი და რომელიც წინამდებარე **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობებით დროებით სარგებლობაში გადაეცემა **დამკვეთს;**

1.1.3 **ინსტალაცია** - **შემსრულებლის** მიერ **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად **დამკვეთისთვის** ღერ(ებ)ის სარგებლობაში გადასაცემად საჭირო სამუშაოების შესრულება;

1.1.4 **კაბელი** – **საკომუნიკაციო არხში** განთავსებული ჰერმეტულ გარსში მოთავსებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი ღერების და აქსესუარების ერთობლიობა და რომელიც აკავშირებს გაკრვეულ წერტილებს/ადგილებს მონაცემთა გადაცემის მიზნით;

1.1.5 **საკომუნიკაციო არხი** - **შემსრულებლის** საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მიწისქვეშა საკომუნიკაციო-საკანალიზაციო არხი/საჰაერო ინფრასტრუქტურა, სადაც განთავსებულია **კაბელი;**

1.1.6 **მხარე/მხარეები** - **დამკვეთი** ან/და **შემსრულებლი** (კონტექსტის შესაბამისად);

1.1.7 **საანგარიშო პერიოდი** - კალენდარული თვე;

1.1.8 **სამუშაო დღე** – კვირის ნებისმიერი დღე შაბათის, კვირისა და კანონმდებლობით განსაზღვრული ოფიციალური დასვენების/უქმე დღეების გარდა;

1.1.9 **სამუშაო საათი** - **სამუშო დღის** 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, თბილისის დროით;

1.1.10 **საკონტაქტო მონაცემები** - **დამკვეთის** მიერ **ხელშეკრულებაში,** მათ შორის, მის ნებისმიერ დანართში მითითებული ნებისმიერი მონაცემი, ისეთი როგორიცაა და არამხოლოდ საკორესპოდენციო მისამართი, საკონტაქტო ნომერი, საკონტაქტო ელ. ფოსტის მისამართი, **დამკვეთის** მხრიდან მიწოდებული სხვა/დამატებითი საკონტაქტო მონაცემები, აგრეთვე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულის პირების რეესტრის მიერ გაცემულ/მომზადებულ (**დამკვეთის**) ამონაწერში დაფიქსირებული ელ-ფოსტის მისამართი;

1.1.11 **შეკვეთის ფორმა** - ამ **ხელშეკრულების** დანართი, რომლითაც განისაზღვრება **დამკვეთისთვის** გაუნათებელი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ღერ(ებ)ის სარგებლობის უფლებით გადაცემის პირობები, **მომსახურების** საფასური, დაკავშირებული წერტილები, ოპტიკური-ბოჭკოვანი ღერის მახასიათებლები და ანგარიშსწორების პირობები;

1.1.12 **შემსრულებლის ღერები** - **კაბელში** არსებული ყველა ოპტიკურ-ბოჭკოვანი ღერი, გარდა **დამკვეთის ღერ(ებ)ისა**;

1.1.13 **ინდივიდუალური შეტყობინება** – შეტყობინება გაგზავნილი **საკონტაქტო მონაცემებზე** (**დამკვეთის** მიერ მითითებულ მისამართზე ან/და ელ. ფოსტის მისამართზე ან სატელეფონო ნომერზე გაგზავნილი შეტყობინება, ხმოვანი ან მოკლე ტექსტური შეტყობინება ან ზეპირი სატელეფონო ხმოვანი შეტყობინება ან შეტყობინება გადაცემული სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით, თუ შეტყობინება საჭიროებს **დამკვეთის** მხრიდან ინფორმაციის მიღების ფაქტის დადასტურებას);

1.1.14 **სადემარკაციო წერტილი** – თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული კონკრეტული **შეკვეთის ფორმით**, ფიზიკური ადგილი სადაც სრულდება **დამკვეთის ღერები** და სადაც ხდება **შემსრულებლისა** და **დამკვეთის** ვალდებულებების გამიჯვნა, მათ შორის და არამხოლოდ **შემსრულებლის** მხარდაჭერის ვალდებულება;

1.1.15 **მენეჯერი** - **შემსრულებლის** ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელიც **დამკვეთთან** ურთიერთობაში მოქმედებს **შემსრულებლის** სახელით;

1.1.16 **საბილინგო სისტემა – მომსახურებისათვის დამკვეთის** მხრიდან ფულადი თანხების გადახდის ოპერაციებისა და **მომსახურების** მოცულობის დაანგარიშების ავტომატიზირებული სისტემა.

1.1.17 **სააბონენტო ანგარიში** – ანგარიში **შემსრულებლის საბილინგო სისტემაში**, სადაც, სხვა მონაცემებს შორის, აღირიცხება **დამკვეთისათვის** მიწოდებული **მომსახურებ(ებ)ის** ჩამონათვალი, მოცულობა, ფასი და **დამკვეთის** მიერ განხორციელებული გადახდები;

1.1.18 **ხელშეკრულება** - წინამდებარე ხელშეკრულება და მისი ნებისმიერი საოპერაციო წესი, „მომსახურების კეთილსინდისიერი სარგებლობის წესები“, **შეკვეთის ფორმა**, დანართი თუ დამატებითი დოკუმენტი, რომლებიც გამოცემულია/გამოიცემა დრო და დრო და შესაბამისი მითითებით ინკორპორირებულია ამ ხელშეკრულებაში ან/და პირდაპირ შემხებლობაშია ამ ხელშეკრულების საფუძველზე გასაწევ **მომსახურებასთან.**

1.2 **ხელშეკრულებაში** გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსითა და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი მნიშვნელობა.

2. ხელშეკრულების საგანი.

2.1 წინამდებარე **ხელშეკრულების** საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად, **შემსრულებელი** გაუწევს **დამკვეთს მომსახურებას (CPV 72410000)**, ხოლო **დამკვეთი** ვალდებულია გადაუხადოს **შემსრულებელს** კონკრეტული **შეკვეთის ფორმით** განსაზღვრული **მომსახურების** საფასური.

2.2 **მომსახურების** გაწევას **შემსრულებელი** დაიწყებს **შეკვეთის ფორმით** განსაზღვრულ ვადაში ან ნებისმიერი სხვა ვადაში, რაზეც **მხარეები** შეთანხმდებიან.

2.3 **დამკვეთის ღერ(ებ)ის** სარგებლობაში გადაცემის და საინსტალაციო სამუშაოს თაობაზე **მხარეთა** შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი ელექტრონულ ეგზემპლარად;

2.4 **დამკვეთის ღერ(ებ)ზე** სარგებლობის უფლების გადაცემა, არ გულისხმობს **დამკვეთისათვის კაბელში** განთავსებულ რომელიმე ღერზე, მათ შორის **დამკვეთის ღერზე** საკუთრების უფლების გადაცემას. **დამკვეთს** ენიჭება **დამკვეთის ღერ(ებ)ით** სარგებლობის უფლება **ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში;

2.5 **მომსახურება** არ გულისხმობს **შემსრულებლის** მხრიდან რაიმე სახის მონაცემთა გადაცემის უზრუნველოფის სერვისს. **ხელშეკრულების** საფუძველზე **დამკვეთს** დროებით სარგებლობაში გადაეცემა გაუნათებელი ოპტიკური ღერ(ებ)ი, **შეკვეთის ფორმაში** მითითებულ წერტილებს შორის და მონაცემთა დაცემას/გატარებას უზრუნველყოფს თავად **დამკვეთი.**

2.6 მხარეები ადასტურებენ, რომ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირები არიან მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ მიღება-ჩაბარებას;

2.7 დამკვეთის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი არის სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მმართველთა საბჭოს შესაბამისი წევრი ან / და შესაბამისი დეპარტამენტის უფროსი;

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები, აკრძალვები, ქსელის უსაფრთხოება.

3.1 **დამკვეთი** უფლებამოსილია:

3.1.1 გამოიყენოს **დამკვეთის ღერ(ებ)ი** ნებისმიერი მიზნებისათვის, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობითა და **ხელშეკრულებით**.

3.2 **დამკვეთი** ვალდებულია:

3.2.1 არ განახორციელოს ისეთი ქმედებები, რომელიც რაიმენაირად ზიანს მიაყენებს **კაბელში** განთავსებულ რომელიმე ოპტიკურ-ბოჭკოვან ღერს;

3.2.2 **ხელშეკრულების** ვადის დასრულების ან მისი ვადამდელი მოშლის შემთხვევაში დაუბრუნოს **შემსრულებელს დამკვეთის ღერ(ებ)ი**;

3.2.3 **მომსახურებით** სარგებლობისას გაითვალისწინოს კანონმდებლობის მოთხოვნები;

3.2.4 გადაიხადოს **მომსახურების** საფასური, **ინსტალაციის** საფასური (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა გადასახდელები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) **შეკვეთის ფორმით/ხელშეკრულებით** განსაზღვრული გადახდის პირობების შესაბამისად.

3.3 **შემსრულებელი** ვალდებულია:

3.3.1 სარგებლობაში გადასცეს **დამკვეთს დამკვეთის ღერ(ებ)ი, ხელშეკრულებით/შეკვეთის ფორმით** განსაზღვრულ ვადაში.

3.4 **შემსრულებელი** უფლებამოსილია:

3.4.1 **დამკვეთის** მიერ **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად **მომსახურების** ან **ინსტალაციის** საფასურის (სრულად ან ნაწილობრივ) გადაუხდელობის შემთხვევაში, შეაჩეროს **მომსახურების** მიწოდება ყველა წერტილზე;

3.4.2 შეუზღუდავად განკარგოს **კაბელი/საკომუნიკაციო არხი/შემსრულებლის ღერები**, მათ შორის, აწარმოოს **საკომუნიკაციო არხში** ნებისმიერი სახის სარემონტო/სამშენებლო/პროფილაქტიკური სამუშაოები; შეცვალოს, დაამატოს/შეამციროს კაბელების ოდენობა, გადასცეს მესამე პირს სარგებლობის უფლება **შემსრულებლის ღერ(ებ)ზე/ საკომუნიკაციო არხზე**/, დატვირთოს უფლებარივად და ა.შ.

3.5 **მომსახურებით** სარგებლობისას აკრძალულია:

3.5.1 **შემსრულებლის** ქსელში უნებართვო ჩართვა, ტექნოლოგიურ კომპონენტებში (აგრეგატებში), პროგრამებში, მონაცემთა ბაზებში არასანქცირებული შეღწევა, ქსელზე თავდასხმა Dos და DDoS შეტევებით, ვირუსებით, ფიშინგით, სმიშინგით, ID-სპუფინგით, **მომსახურების** გადაყიდვა/გაზიარება მესამე პირებისთვის;

3.5.2 **მომსახურების** გამოყენება მესამე პირთა პირადი ცხოვრების ან მათი სიმშვიდის შემლახავი, მუქარის შემცველი, მათთვის მატერიალური ზიანის მიმყენებელი, ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი ან სხვა ნებისმიერი მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისათვის;

3.5.3 სპამის, დაუშვებელი პროდუქციის, კომპიუტერული ვირუსის, თაღლითური ან მავნე პროგრამების გავრცელება.

3.6 **მომსახურების** მიღებისას, **დამკვეთი** ვალდებულია დაიცვას **შემსრულებლის** მიერ დადგენილი და **შემსრულებლის** ვებ-გვედზე გამოქვეყნებული „კეთილსიდისიერი სარგებლობის წესები“.

3.7 **დამკვეთი** ვალდებულია **მომსახურებით** არასანქცირებული სარგებლობის აღმოჩენის შემთხვევაში, აღკვეთოს ასეთი სარგებლობა ან აღკვეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, უმოკლეს ვადაში შეატყობინოს **შემსრულებელს** არასანქცირებული სარგებლობის შესახებ.

3.8 **მომსახურების** ნებისმიერი ისეთი გამოყენება ან ნებისმიერი სხვა სახის მოქმედება, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ იწვევს **შემსრულებლის** ქსელის ერთიანობის დარღვევას მკაცრად აკრძალულია და აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს ამ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული წესების შესაბამისად **მომსახურების** შეჩერება ან შეწყვეტა.

4 მომსახურების ხარისხი. დაზიანების აღმოფხვრის წესი და ვადა.

4.1 **შემსრულებელი** გაუწევს **მომსახურებას** **დამკვეთს** 24 საათის განმავლობაში, მაგრამ გარანტიას არ იძლევა, რომ **მომსახურება** იქნება სრულიად შეუფერხებელი ან მუდმივად ხელმისაწვდომი, შესაბამისი ინდუსტრიული სტანდარტების და პრაქტიკის, გადაუდებელი სარემონტო თუ პროფილაქტიკური სამუშაოების, აგრეთვე **ხელშეკრულებაში** მითითებული გამონაკლისი შემთხვევების გათვალისწინებით.

4.2 **მომსახურების** ხელმისაწვდომობა შეადგენს წლიურ 98,3%, რაც გულისხმობს ყოველი სრული **საანგარიშო პერიოდის** განმავლობაში **მომსახურების** ჯამში არაუმეტეს 12 (თორმეტი) საათიან ისეთ შეწყვეტას ან შეფერხებას, რომლისთვისაც **შემსრულებელს** არ დაეკისრება პასუხისმგებლობა. ამასთან, **მომსახურების** აღნიშნული მაჩვენებლით მიწოდების შემთხვევაში, **მომსახურება** ჩაითვლება უწყვეტად და ჯეროვნად მიწოდებულად.

4.3 <u>**გამონაკლისი შემთხვევები:**</u> ზემოაღნიშნულ 12 (თორმეტი) საათიან პერიოდში არ ჩაითვლება **მომსახურების** ისეთი წყვეტები თუ შეფერხებები, მათ შორის და არამხოლოდ ხარისხობრივ მაჩვენებლებთან შეუსაბამობები, რომელიც სრულად ან ნაწილობრივ, პირდაპირ თუ ირიბად განპირობებულია ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი გარემოებით:

4.3.1 **დამკვეთის** მიერ **შემსრულებლისათვის** შეტყობინება **მომსახურების** შესაბამისი შეფერხების თუ შეწყვეტის თაობაზე არ ხორციელდება ან ხორციელდება ამ **ხელშეკრულებით** დადგენილი წესის დაუცველად;

4.3.2 **შემსრულებლის** მიერ გადაუდებელი სარემონტო თუ პროფილაქტიკური სამუშაოების წარმოება, მათ შორის და არამხოლოდ წინამდებარე **ხელშეკრულების** 4.7 პუნქტით განსაზღვრული სამუშაოები;

4.3.3 ფორს-მაჟორული გარემოებები, მათ შორის, კიბერ-შეტევები, ჰაკერული-თავდასხმები;

4.3.4 ნებისმიერი გაუმართაობა, დაყოვნება, დაზიანება, ტექნიკური შეცდომა, ხარვეზი, წუნი, შეფერხება ან/და სხვა ტიპის ვითარება, რომელიც სრულად ან ნაწილობრივ დაკავშირებულია **დამკვეთის** ან ნებისმიერი მესამე პირის პროგრამულ უზრუნველყოფასთან, მოწყობილობებთან, აპარატურასთან, აპლიკაციებსა ან/და შიდა ქსელთან;

4.3.5 ნებისმიერი ისეთი შემთხვევა, როდესაც **შემსრულებლის** სათანადო რეაგირებისა და შემოწმების შედეგად აღმოჩენილი და იდენტიფიცირებული არაა **მომსახურების** შეზღუდვისა თუ შეწყვეტის ფაქტი (No Trouble Found);

4.3.6 **მომსახურების** შეფერხების ან/და შეწყვეტის აღმოსაფხვრელი სამუშაოების წარმოება ფერხდება, ჭიანურდება **შემსრულებლისაგან** დამოუკიდებელი მიზეზით ან სამუშაოების წარმოება დაუშვებელია/შეუძლებელია ტექნიკური ნორმებისა და შესაბამისი უსაფრთხოების სტანდარტების დაცვის გამო;

4.3.7 **დამკვეთის** მიერ **შემსრულებლის** ან/და მისი კონტრაქტორი პირების **მომსახურების** მიღების ფართზე წვდომის შეზღუდვა, რა შემთხვევაშიც **შემსრულებელი** მოკლებულია შესაძლებლობას სრულყოფილად ჩაატაროს საჭირო შემოწმებები, დათვალიერებები, ტესტირებები, შეკეთებითი თუ შეცვლითი სამუშაოები. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ **მომსახურების** შეფერხების თუ შეწყვეტის აღმოფხვრა საჭიროებს **მომსახურების** მიღების ფართზე/მისამართზე **შემსრულებლის** ან/და მისი კონტრაქტორის ვიზიტს, რომლის დაგეგმვისას **დამკვეთი** უარს განაცხადებს უახლოეს შესაძლო ვიზიტზე ნებისმიერი მიზეზით და მოითხოვს ვიზიტის, სხვა უფრო გვიანდელ თარიღზე დანიშვნას, მაშინ პერიოდი შეთავაზებული თავდაპირველი ვიზიტიდან შეთანხმებულ გვიანდელ ვიზიტამდე ასევე არ ჩაითვლება საანგარიშო 12 (თორმეტი) საათიან პერიოდში;

4.3.8 **დამკვეთი** თავს არიდებს ან არ ასრულებს **შემსრულებლის** მიერ **დამკვეთისათვის** მიწოდებული პერიოდული განახლებების, მითითებების, გადატვირთვისა, სახელმძღვანელო წესების თუ სხვა ტიპის მოთხოვნების შესრულებას;

4.3.9 ელ. ენერგიის მიწოდების შეწყვეტა ან შეზღუდვა;

4.3.10 **მომსახურების** მიღების ფართზე შიდა გაყვანილობის (დაკაბელების) ნებისმიერი ტიპის დაზიანება;

4.3.11 ისეთი მოქმედებები, რომელიც აუცილებელია უსაფრთხოების დარღვევების, საზიანო შეტევებისა თუ თავდასხმების პრევენციისთვის ან აღმოსაფხვრელად;

4.3.12 **დამკვეთის** ან/და იმ მესამე პირების უმოქმედობა, რომელთა მოქმედებაზეა დამოკიდებული **შემსრულებლის** მიერ **მომსახურების** შეწყვეტისა თუ შეზღუდვის აღმოფხვრა.

4.4 **მომსახურების** შეწყვეტის ან შეფერხების დრო დაითვლება **შემსრულებლის** მიერ წინამდებარე **ხელშეკრულებით** დადგენილი წესით შეტყობინების მიღებიდან მისი აღმოფხვრის მომენტამდე, იმ გამონაკლისი შემთხვევების გათვალისწინებით, რომელიც მოცემულია **ხელშეკრულებაში**.

4.5 **დამკვეთმა**, **მომსახურების** შეწყვეტის/დაზიანების შესახებ უნდა შეატყობინოს **შემსრულებელს: სამუშაო საათებში მენეჯერის** ელექტრონული ფოსტაზე ან **მენეჯერის** ტელეფონის ნომერზე, ხოლო სხვა დღეებში **მენეჯერის** ელექტრონულ ფოსტაზე ან **ცხელ ხაზზე**. ამასთან, ელექტრონული ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება მიღების დადასტურებისთანავე, ხოლო მიღების დადასტურების არარსებობის შემთხვევაში, გაგზავნიდან 1 საათის შემდეგ.

4.6 **შემსრულებელი** ვალდებულია აღმოფხვრას დაზიანება, რომლის შედეგად **დამკვეთს** შეფერხებით ან საერთოდ არ მიეწოდება შეკვეთილი **მომსახურება** (არ იგულისხმება გადაუდებელი სარემონტო თუ პროფილაქტიკური სამუშაოები) და რომლის აღმოფხვრის ვალდებულება, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ეკისრება **შემსრულებელს**. ამასთან, **შემსრულებელი** ვალდებულია, **დამკვეთის** ზემოაღნიშნული შეტყობინების/განცხადების მიღებიდან დაზიანება აღმოფხვრას გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს, ასეთი დაზიანების აღმოფხვრისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ვადისა. დაზიანების აღმოფხვრა წარმოებს მხოლოდ **სამუშაო დღეებში** და შაბათს (თუ შაბათი არ არის უქმე დღე), 09:00-დან 18:00 საათამდე.

4.7 **მხარეები** თანხმდებიან, რომ **შემსრულებელი** უფლებამოსილია დრო და დრო ჩაატაროს საკუთარი ქსელისა ან/და ინფრასტრუქტურის ან/და პროგრამული მოწყობილობების გადაუდებელი სარემონტო ან/და პროფილაქტიკური სამუშაოები, რომელთაც შესაძლებელია მოჰყვეს **მომსახურების** შეჩერება, შეზღუდვა ან შეფერხებები და რომელიც ემსახურება **მომსახურების** ხარისხის შენარჩუნებას, გაუმჯობესებას, ან გამიზნულია ქსელის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ან ახალი ტექნოლოგიების დასანერგად. **შემსრულებელი** გამოიყენებს ყველა გონივრულ საშუალებას/შესაძლებლობას, რათა ამგვარი სამუშაოები აწარმოოს არასამუშაო დროს, თუმცა გარანტიას არ/ვერ იძლევა რომ ეს ყოველთვის იქნება შესაძლებელი ან მიზანშეწონილი. დაგეგმილი პროფილაქტიკური სამუშაოების შესახებ **დამკვეთის** შეტყობინება განხორციელდება წინასწარ, ხოლო გადაუდებელი სამუშაოების შემთხვევაში პირველი შესაძლებლობისთანავე. ამასთან, **დამკვეთი** აღიარებს და თანახმაა, რომ **შემსრულებელს** არ შეიძლება დაეკისროს რაიმე სახის პასუხიმგებლობა ამ პუნქტით განსაზღვრული სამუშაოების დროს წარმოშობილ **მომსახურების** წყვეტებსა თუ შეფერხებებზე.

4.8 **დამკვეთის** მიზეზით მომხდარი ნებისმიერი დაზიანება თუ გარემოება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს **მომსახურების** მიწოდების შეფერხება ან შეწყვეტა, არ ათავისუფლებს **დაკმვეთს მომსახურების** ღირებულების გადახდისაგან.

4.9 იმ შემთხვევაში, როდესაც დაზიანება **სადემარკაციო წერტილიდან შემსრულებლის** მხარესაა, ეს უკანასკნელი ვალდებულია მსგავსი დაზიანება აღმოფხვრას **დამკვეთისათვის** დამატებითი ფინანსური ვალდებულების წარმოშობის გარეშე. **შემსრულებელი** არ არის ვალდებული **დამკვეთის** ქმედებით გამოწვეული დაზიანების შემთხვევაში საკუთარი ხარჯით შეაკეთოს არსებული დაზიანება. დაზიანების შეკეთება ჩაითვლება დამატებით ფასიან მომსახურებად, რომლის საფასური განისაზღვრება ინდივიდუალურად, დაზიანების ტიპის დადგენისა და მოკვლევის შედეგად.

4.10 **დამკვეთი** ვალდებულია მისი ქსელის შესაბამისი ელემენტების დაზიანების შემთხვევაში, უზრუნველყოს მის კერძო საკუთრებაში განთავსებულ აპარატურასთან **შემსრულებლის** წარმომადგენლების შეუფერხებელი დაშვება, წინააღმდეგ შემთხვევაში **შემსრულებელი** იხსნის ნებისმიერ პასუხისმგებლობას.

4.11 ამ **ხელშეკრულებით** განსაზღვრული დათქმებისა და გამონაკლისი შემთხვევების გათვალისწინებით, თუ **მომსახურების** შეწყვეტის ან შეფერხების ხანგრძლივობა გადასცდა ამ **ხელშეკრულების** 4.2. პუნქტით განსაზღვრულ დროს, **შემსრულებელი დამკვეთს** კომპენსაციის სახით **სააბონენტო ანგარიშზე** გაუაქტიურებს სააბონენტო ლიმიტს, რომელიც ტოლია შესაბამისი წყვეტის დროის პროპორციული **მომსახურების** საფასურის 8%-ის. ამ პუნქტით გათვალისწინებული კომპენაციის თანხა გამოაკლდება მომდევნო **საანგარიშო პერიოდის მომსახურების** საფასურს.

4.12 **ხელშეკრულების** 4.11 პუნქტით განსაზღვრული საკომპენსაციო პირობა ამოქმედდება მხოლოდ **დამკვეთის** წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, ამასთან, ამგვარი მოთხოვნა **შემსრულებელს** უნდა წარედგინოს მიმდინარე **საანგარიშო პერიოდის** დასრულებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

4.13 **შემსრულებელი** ვალდებულია, ინფორმაცია მიმდინარე **საანგარიშო პერიოდში მომსახურების** შეწყვეტის ან შეფერხების შესახებ, შეინახოს მინიმუმ შემდგომი **საანგარიშო პერიოდის** განმავლობაში. ორაზროვნების თავიდან აცილების მიზნით, **შემსრულებელი** აცხადებს და **დამკვეთმა** იცის (თანახმაა), რომ **შემსრულებელს** შესაძლოა, არ ჰქონდეს ტექნიკური შესაძლებლობა აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ შეინახოს ეს ინფორმაცია.

5 ანგარიშსწორება.

5.1 **მომსახურების** საფასური, **ინსტალაციის** ღირებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სხვა სახის გადასახდელები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მისი/მათი გადახდის პირობები განისაზღვრება **შეკვეთის ფორმით და შეადგენს 27 000 (ოცდაშვიდი ათასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით**.

5.2 ანგარიშსწორება ხორციელდება **შეკვეთის ფორმით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორებით, **შეკვეთის ფორმაში** მითითებულ საბანკო ანგარიშზე ან **შემსრულებლის** მიერ მითითებულ სხვა საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით.

5.3 **მომსახურების**, საფასურთან ან მის ოდენობასთან, **დამკვეთის** მხრიდან უთანხმოების არსებობისას, **მომსახურების** გადასახდელის დაანგარიშების საფუძველს წარმოადგენს **შემსრულებლის საბილინგო სისტემის** მონაცემები.

5.4 **დამკვეთის** მიერ კონკრეტული მონაკვეთზე/წერტილებზე **მომსახურების** გაუქმება, არ ამცირებს ამ **ხელშეკრულებით/შეკვეთის ფორმით** გათვალისწინებული **მომსახურების** საფასურის ოდენობას.

5.5 თუ გადახდის ვადის დადგომის მომენტში **შემსრულებლის საბილინგო სისტემაში** არ არის ასახული **დამკვეთის** მიერ გადასახდელი თანხის სრული დაფარვა, მაშინ **შემსრულებელი** უფლებამოსილია, შეუზღუდოს **დამკვეთს მომსახურების** მიწოდება და დააჯარიმოს **დამკვეთი** ვადაგადაცილებული თანხის 20%-ის ოდენობით.

5.6 **დამკვეთი** აცხადებს უპირობო თანხმობას, რომ **შემსრულებელი** უფლებამოსილია **დამკვეთის** ნებისმიერი მომსახურების ანგარიშიდან უაქცეპტო წესით ჩამოჭრას **შემსრულებლის** მიერ გაწეული ნებისმიერი მომსახურების (ამ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული თუ სხვა ხელშეკრულებით) საფასური.

6 კომუნიკაცია მხარეებს შორის.

6.1 **დამკვეთის** მხრიდან **შემსრულებელთან** კომუნიკაცია ძირითადად ხორციელდება **მენეჯერთან** სატელეფონო ნომერზე/ელ. ფოსტაზე.

6.2 **მხარეები** ასევე თანხმდებიან, რომ **დამკვეთი** უფლებამოსილია წინასწარ მიანიჭოს მინდობილობა საკუთარ წარმომადგენელს, რომელიც აღჭურვილი იქნება უფლებამოსილებით წარმოადგინოს **დამკვეთი შემსრულებელთან** ურთიერთობაში და მიმართოს **შემსრულებელს** როგორც წერილობით, ასევე ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის საშუალებით, მოითხოვოს **ხელშეკრულების** პირობების ცვლილება, დაზუსტება, ნებისმიერი სახის ინფორმაცია. **დამკვეთის** წარმომადგენლისთვის (მინდობილი პირისთვის) მინდობილობის გაუქმების შესახებ **შემსრულებლისათვის** შეტყობინებამდე, ასეთი წარმომადგენლისაგან მიღებული წერილი/შეტყობინება ჩაითვლება **დამკვეთისაგან** მიღებულად.

6.3 **მხარეები** თანხმდებიან, რომ **მენეჯერთან** საკონტაქტო ნომრიდან დარეკვისას, საკონტაქტო ელ. ფოსტის მისამართიდან **შემსრულებელთან** დაკავშირების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა თუ ვინ ახორციელებს შესაბამის კომუნიკაციას, ჩაითვლება რომ ნებისმიერი მოთხოვნილი სერვისი/მოქმედება ხორციელდება **დამკვეთის** სურვილით და მისგან გამომდინარე შედეგებზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება **დამკვეთს.**

6.4 თუ **შემსრულებლის** მიერ **დამკვეთისათვის** გაგზავნილი შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული **დამკვეთის** ხელმოწერით, რაიმე დოკუმენტით (ქვითარი და სხვა) ან/და შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით, ნებისმიერი

ასეთი შეტყობინება მიჩნეულ უნდა იქნას სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად და მიღებულად: კურიერის ან საფოსტო გზავნილის გაგზავნის შემთხვევაში გაგზავნიდან მე-5 კალენდარულ დღეს, მობილურის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების ან ელ. ფოსტის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში გაგზავნის დროს. მოკლე ტექსტური ან/და ელ. ფოსტით გაგზავნილი შეტყობინება გაგზავნილად მიიჩნევა **შემსრულებლის** ქსელიდან გაგზავნის დადასტურების ფაქტით, ადრესატის ნომრის ან/და ელ. ფოსტის მისამართის მიერ აღნიშნული შეტყობინების ფიზიკურად მიღების მიუხედავად. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ **შემსრულებელს** შეტყობინება დაუბრუნდება **დამკვეთის** ადგილსამყოფლის არ არსებობის გამო, **დამკვეთი** უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე ან თავს აარიდებს მის მიღებას.

6.5 **დამკვეთის** პასუხს აგებს **საკონტაქტო მონაცემების** სისწორეზე. მითითებულ მონაცემთაგან რომელიმეს ცვლილების თაობაზე **დამკვეთმა** წინასწარ წერილობით ან/და **მენეჯერთან** საკონტაქტო ნომრიდან დარეკვით ან საკონტაქტო ელ. ფოსტის მისამართიდან შეტყობინების გაგზავნით ან **შემსრულებლის** მიერ დადგენილი ფორმით უნდა აცნობოს **შემსრულებელს.** წინააღმდეგ შემთხვევაში **შემსრულებლის** მიერ **დამკვეთისათვის საკონტაქტო მონაცემებზე** გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად და **შემსრულებელი** იხსნის ნებისმიერ პასუხისმგებლობას **დამკვეთისათვის საკონტაქტო მონაცემებზე** გაგზავნილი შეტყობინებების შედეგად წარმოშობილ ნებისმიერი სახის შესაძლო ზიანზე ან შედეგზე.

7 <u>მხარეთა პასუხისმგებლობა.</u>

7.1 **მხარეები** იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ **ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი კანონმდებლობით ან/და **ხელშეკრულებით** დადგენილი წესით.

7.2 **შემსრულებელი** პასუხს არ აგებს იმ ზიანისთვის რაც **დამკვეთს** შეიძლება მიადგეს **დამკვეთის** შიდა ქსელში მესამე პირ(ებ)ის მიერ უსანქციო ან **დამკვეთის** მიერ სანქცირებული შეღწევის შედეგად, ვინაიდან თავად **დამკვეთია** პასუხისმგებელი მისი კუთვნილი სისტემების/ქსელის დაცვაზე მესამე პირების მიერ ხელყოფისაგან.

7.3 იმ შემთხვევაში, თუ **შემსრულებელს** ნებისმიერი პირის მიმართ დაეკისრა ჯარიმის/სანქციის გადახდა ან/და ზიანის ანაზღაურება **დამკვეთის** მიერ **მომსახურებით** არამართლზომიერი/უკანონო სარგებლობის ან/და წინამდებარე მუხლით განსაზღვრული პირობების დარღვევის შედეგად, მაშინ **შემსრულებელი** უფლებამოსილია მოსთხოვოს **დამკვეთს** დაკისრებული ჯარიმის/სანქციის ან/და მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება.

7.4 **დამკვეთი** უფლებამოსილია მოითხოვოს **შემსრულებლისაგან** პირდაპირი ზიანის ანაზღაურება, თუ ზიანი გამოწვეულია **შემსრულებლის** ბრალეული განზრახვით/მოქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით. იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოქმედი კანონმდებლობით არის დაშვებული, არცერთი **მხარე** არ არის პასუხისმგებელი **მეორეს** წინაშე არაპირდაპირი ზიანისათვის, მათ შორის, წარმოების ან საქმიანობის შეჩერების, მონაცემთა დაკარგვის, მიუღებელი სარგებელის ან ნაყოფის ან სხვა არაპირდაპირი დანაკარგისათვის ან მათი შედეგებისათვის.

7.5 **დამკვეთი** პასუხს აგებს **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით **შემსრულებლისათვის** მიყენებულ ზიანზე. ზიანის ანაზღაურება არ ათავისუფლებს **დამკვეთს ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან.

8 <u>ფორს-მაჟორი.</u>

8.1 არც ერთი **მხარე** არ აგებს პასუხს მეორე **მხარის** წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა (ფორს-მაჟორი), რომლის არსებობის ან წარმოშობის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი იყო. ამასთან, **მხარე**, რომელიც აცხადებს ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შესახებ, **ხელშეკრულების** საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებებისგან უნდა გათავისუფლდეს მხოლოდ იმ მოცულობით და იმ ვადით, რომლითაც აღნიშნული ვალდებულებების განხორციელება შეფერხებულია ფორს-მაჟორული გარემოებებით და არ უნდა გათავისუფლდეს **ხელშეკრულებით** დაკისრებული ნებისმიერი სხვა ისეთი ვალდებულებისგან, რომელსაც არ აფერხებს ფორს-მაჟორული გარემოებები.

8.2 გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):

8.2.1 სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა.);

8.2.2 გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, გაფიცვა, ლოკაუტი, მასობრივი არეულობა, საბოტაჟი, ტერორისტული აქტი, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, ტერორისტული აქტი, საგანგებო მდგომარეობა, ეპიდემიები, ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;

8.2.3 საკომუნიკაციო ქსელის დაზიანება, ტექნიკური საშუალებების განადგურება; ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა;

8.2.4 ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტების გამოცემა, რომლებიც ზემოქმედებენ **მხარეებ**ის მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლიან, წყვეტენ ან აჩერებენ **ხელშეკრულების** დებულებებსა და პირობებს.

8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოშობის შესახებ **მხარემ** დაუყონებლივ უნდა აცნობოს მეორე **მხარეს** მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებებით (ტელეფონი, ფოსტა, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა). თუ ასეთი შეტყობინება არ იქნება გაკეთებული 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, **მხარეს** უფლება არ აქვს პასუხისმგებლობის განთავისუფლების მიზნით მიუთითოს ასეთ გარემოებებზე, თუკი შეტყობინების არ გაგზავნა არ იყო გამოწვეული ამ გარემოებებით.

8.4 ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე **მხარეები** დაუყონებლივ აგრძელებენ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

8.5 ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა, თუ **მხარეთა** შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება. თუ **მხარეების** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გაგრძელდა თვეზე მეტ ხანს, თითოეული **მხარე** უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს **ხელშეკრულების** მოქმედება, მეორე მხარისათვის წერილიბითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

9 <u>მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა.</u>

9.1 **ხელშეკრულებით** და მისი დანართებით გაუთვალისწინებელი გარემოებების დადგომის შემთხვევაში **მხარეები** ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, უპირველეს ყოვლისა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

9.2 **ხელშეკრულების** შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა დავას, უთანხმოებას და პრეტენზიას **მხარეები** წყვეტენ ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, **დამკვეთს** შეუძლია ერთჯერადად მიმართოს **შემსრულებლის** პრეტენზიების განყოფილებას.

9.3 **მომსახურების** პირობებთან დაკავშირებული პრეტენზიები **მხარეებმა** შეიძლება ერთმანეთს წაუყენონ წერილობით ან/და ზეპირად. **დამკვეთის** წერილობითი პრეტენზია/საჩივარი უნდაწარედგინოს/მიეწოდოს **შემსრულებელს** ადმინისტრაციული ოფისის მისამართზე: ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას N7.

9.4 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ნებისმიერ **მხარეს** შეუძლია მიმართოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, **მხარეები** თანხმდებიან რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიძლება მიქცეულ იქნას დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, თუ დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ზიანი და მისი ანაზღაურება.

10 <u>მომსახურების შეზღუდვა და შეწყვეტა.</u>

10.1 **შემსრულებელი** უფლებამოსილია შეუზღუდოს **დამკვეთს მომსახურების** მიწოდება, თუ:

10.1.1 **მომსახურების** მიწოდება შეუძლებელია წინამდებარე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ფორს-მაჟორული გარემოებების გამო;

10.1.2 **დამკვეთი** არ იცავს წინამდებარე **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ პირობებს, მათ შორის, დროულად არ იხდის **მომსახურების** საფასურს;

10.1.3 **დამკვეთი** იყენებს ან ცდილობს გამოიყენოს სატელეკომუნიკაციო საშუალებები, **მომსახურება** არაკანონიერი მიზნებისათვის ან არაკანონიერი გზით მიიღოს **მომსახურება;**

10.1.4 ადგილი აქვს **ხელშეკრულების** მე-3 მუხლით გათვალისწინებული არაკეთილსინდისიერად სარგებლობის ფაქტებს. ამ შემთხვევაში **მომსახურების** მიწოდება ნაწილობრივ ან სრულად შეჩერდება ზემოაღნიშნული ქმედების ეფექტურად და დროულად აღსაკვეთად.

10.2 **დამკვეთის** მიერ **მომსახურების** შეზღუდვის საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში **მომსახურების** მიწოდება აღდგება 24 საათის განმავლობაში. თუ დავალიანების დაფარვა აისახა არასამუშაო საათებში, მაშინ **მომსახურება** აღდგენა მომდევნო **სამუშაო დღის** პირველი **სამუშაო საათის** განმავლობაში.

10.3 **შემსრულებელი** ასევე უფლებამოსილია, შეწყვიტოს შეკვეთილი **მომსახურება** იმ შემთხვევაშიც, თუ შეუძლებელი ხდება **დამკვეთისათვის** შეკვეთილი **მომსახურების** მიწოდება ობიექტური მიზეზების გამო, რაც შეიძლება იყოს, მაგალითად, **შემსრულებლის** საკომუნიკაციო ქსელის მნიშვნელოვანი დაზიანება, შესაბამისი ტექნიკური საშუალებების განადგურება/არქონა, ლიცენზიის, ნებართვის, ავტორიზაციის გაუქმება/შეჩერება, კონკრეტული **მომსახურების** მიწოდების სრულად შეწყვეტა ან მისი არსებითი მოდიფიცირება და სხვა.

11 ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტა

11.1 წინამდებარე **ხელშეკრულება** ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს არაუგვიანეს 2021 წლის 30 ივნისისა.

11.2 **ხელშეკრულება** შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე:

11.2.1 **მხარეთა** ურთიერთშეთანხმებით;

11.2.2 **შემსრულებლის** მიერ, **დამკვეთის** მხრიდან **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისას;;

11.2.3 **შემსრულებლის** მიერ, **ხელშეკრულებაში** ცვლილებების შეტანის შესახებ **დამკვეთისათვის** კანონმდებლობით ან/და წინამდებარე **ხელშეკრულებით** დადგენილი ფორმით გაგზავნილი შეტყობინების მიღებიდან საამისოდ დადგენილ ვადაში **დამკვეთის** მიერ ცვლილებებზე უარის გაცხადებისას;

11.2.4 **შემსრულებლის** მიერ, 10.1.4 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვის საფუძვლის არ აღმოფხვრის ან შეზღუდული **მომსახურების** განახლების შემდგომ, **ხელშეკრულების** მე-3 მუხლით გათვალისწინებული გარემოებ(ებ)ის განმეორებით დადგომისას.;

11.2.5 **შემსრულებლის** მიერ, **დამკვეთის** მხრიდან **მომსახურების** შეზღუდვის საფუძვლის 45 დღის განმავლობაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში;

11.2.6 ერთ-ერთი **მხარის** მიერ, **ხელშეკრულებით** ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

11.3 იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი **მხარე** დაარღვევს **ხელშეკრულებით** ნაკისრ რაიმე ვალდებულებას, და მეორე **მხარისაგან** წერილობითი შეტყობინების მიღების შემდეგ შეთანხმებულ გონივრულ ვადაში არ გამოასწორებს აღნიშნულ დარღვევას, მაშინ **მხარე**, რომელსაც არ დაურღვევია **ხელშეკრულება** უფლებამოსილია, ამ გონივრული ვადის ამოწურვისთანავე, ცალმხრივად შეწყვიტოს **ხელშეკრულების** მოქმედება მეორე **მხარისათვის** შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. ამ შემთხვევაში ასეთი **მხარე** თავისუფლდება ყველანაირი პასუხისმგებლობისაგან.

11.4 როდესაც **ხელშეკრულება** წყდება ვადაზე ადრე **დამკვეთის** ინიციატივით და ეს არ არის გამოწვეული **შემსრულებლის** მიერ **ხელშეკრულების** პირობების დარღვევით, **შემსრულებელი** უფლებამოსილია **ხელშეკრულების/ მომსახურების** ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო, მოსთხოვოს და **დამკვეთი** ვალდებულია ერთი თვის ვადაში აუნაზღაუროს **შემსრულებელს** საჯარიმო თანხა, რომელიც ტოლია წინამდებარე **ხელშეკრულების** მოქმედების განმავლობაში შეწყვეტილი **მომსახურების** საფასურის საშუალო თვიური მაჩვენებლის 20%-ის. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ **დამკვეთს** არ აქვს გადახდილი **შეკვეთის ფორმით** გათვალისწინებული **ინსტალაციის** ერთჯერადი ღირებულება, **შემსრულებლის** მოთხოვნის შემთხვევაში, **დამკვეთი** ვალდებულია, ერთი თვის ვადაში აუნაზღაუროს **შემსრულებელს** აღნიშნული ღირებულება.

11.5 **ხელშეკრულების/მომსახურების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ ათავისუფლებს **დამკვეთს** ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან.

12 ცვლილებები და დამატებები

12.1 **შემსრულებელი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს **ხელშეკრულების** მოქმედების განმავლობაში შეცვალოს ნებისმიერი პირობა, **შეკვეთის ფორმა**, **მომსახურების** საფასური, **ხელშეკრულების** 12.2. პუნქტით განსაზღვრული წესის დაცვით.

12.2 **შემსრულებელი** ვალდებულია **დამკვეთს**, სულ მცირე 30 დღით ადრე **ინდივიდუალური შეტყობინებით** მიაწოდოს ინფორმაცია **ხელშეკრულების** პირობების ცვლილების შესახებ.

12.3 თუ **დამკვეთი შემსრულებლისგან** მიღებული შეტყობინებით გათვალისწინებული ცვლილებების/დამატებების ძალაში შესვლის დრომდე (თარიღამდე) არ განაცხადებს უარს შეცვლილ პირობებზე, ჩაითვლება რომ **დამკვეთი** თანახმაა **შემსრულებლის** მიერ შემოთავაზებულ შეცვლილ პირობებზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ **დამკვეთი** შეტყობინებით გათვალისწინებულ ვადაში უარს განაცხადებს შემოთავაზებულ ცვლილებებზე, **შემსრულებელი** უფლებამოსილია შეწყვიტოს **ხელშეკრულება**.

12.4 გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც **მომსახურების/ხელშეკრულების** პირობების ცვლილება ხორციელდება **შემსრულებლის** მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესის დაცვით ცალმხრივად, **ხელშეკრულების** ყველა დამატება, ცვლილება და შესწორება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მას შემდეგ, რაც შესრულებული იქნება წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი იქნება **მხარეთა** მიერ.

12.5 **ხელშეკრულებაში** შეტანილი ცვლილებები და დამატებები წარმოადგენს **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს და ასეთი ცვლილების სხვაგვარად არ არის დადგენილი მოქმედებს **ხელშეკრულების** მოქმედების ვადით.

13 <u>დასკვნითი დებულებები</u>;

13.1 **მხარეები** ადასტურებენ, რომ **ხელშეკრულების** შინაარსი ზუსტად გამოხატავს **მხარეთა** ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა **ხელშეკრულების** შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

13.2 წინამდებარე **ხელშეკრულების** ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა **მხარეთა** უფლებამონაცვლეთათვის და სამართალმემკვიდრეთათვის, თუ **ხელშეკრულების** ან/და მისი მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის და ქვეპუნქტ(ებ)ის შინაარსის გათვალისწინებით კანონმდებლობა სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

13.3 წინამდებარე **ხელშეკრულების** ყველა დანართი, **მხარეთა** შორის გაფორმებული **შეთანხმების** ჩათვლით, წარმოადგენს წინამდებარე **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს. ამასთან, **ხელშეკრულების** და **ხელშეკრულების** დანართის პირობებს შორის წინააღმდეგობის ან შეუსაბამობის არსებობისას, ამგვარი დანართის პირობებს მიენიჭება უპირატესობა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელთა დასარეგულირებლადაც დადებულია ამგვარი დანართი, გარდა ამ **ხელშეკრულებით** პირდაპირ გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

13.4 ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება **მხარეს** მეორე **მხარის** მიერ **ხელშეკრულების** ან/და კანონმდებლობის სრულად ან ნაწილობრივ დარღვევის შედეგად, კრებითია და დაემატება **ხელშეკრულებით** ან/და კანონმდებლობით მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას.

13.5 **ხელშეკრულების** რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად **ხელშეკრულების** ან/და მისი სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა **ხელშეკრულებით** (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

13.6 **ხელშეკრულების** მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს **ხელშეკრულების** ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება.

13.7 **ხელშეკრულების** ხელმოწერისთანავე ძალას კარგავს **მხარეთა** შორის მანამდე არსებული და **ხელშეკრულების** საგანთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, მიმოწერა და ზეპირი შეთანხმება.

13.8 **ხელშეკრულება**, ისევე როგორ მისი დანართები, შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულ ეგზემპლარად;

13.9 მხარეები აცნობიერებენ, რომ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში“ დანერგილია ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა ISO/IEC 27001 მიხედვით და შესაბამისად, შემდგომ ურთიერთობებში ითვალისწინებენ „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ კონფიდენციალურობისა და გაუმჟღავნებლობის პირობებს“, რომელიც გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე www.gse.com.ge (ჩვენს შესახებ/შესყიდვები/კონტრაქტის პირობები).

14 <u>მხარეთა ხელმოწერები.</u>

შემსრულებელი	**დამკვეთი**
შპს „მაგთიკომი“,	**სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა**
ს/კ 204876606	ქ. თბილისი, ბარათაშვილისქ. №2
მომსახურე ბანკი: ვითიბი ბანკი ჯორჯია	საიდ. კოდი: 204995176
ცენტრალური ფილიალი	სს „თიბისიბანკი“
ბანკის კოდი: UGEBGE22	ცენტრალურიფილიალი
ანგარიშის N: GE73VT6600000000423607	ბანკისკოდი: TBCBGE22
საკონტაქტო ტელეფონი:(+995 32 2170000 ან 11 00 11)	ანგარიშის № GE02TB0600000102467636
/_____/	/_____/
გენერალური დირექტორის მოადგილე	**მმართველთა საბჭოს წევრი**
ზურაბ ზარიძე	**დავით ვარდიაშვილი**

JSC Georgian State Electrosystem

Digitally signed by JSC Georgian State Electrosystem
Date: 2021.02.26 12:49:24 +04'00'

გაუნათებელი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ღერების სარგებლობის უფლების გადაცემის ხელშეკრულების

შეკვეთის ფორმა #1

26 თებერვალი, 2021 წელი

<u>**მხარეები**</u>: ერთის მხრივ, **შპს "მაგთიკომი" (შემდგომში "შემსრულებელი")** - ს/კ 204876606, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. N7, 0186 მეორეს მხრივ, მეორეს მხრივ, **სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"**, ს.კ: 204995176, საკორესპოდენციო მისამართი ქ. თბილისი, ზარათაშვილის ქ. N2, (შემდგომში "**დამკვეთი**")

წინამდებარე შეკვეთის ფორმა წარმოადგენს მხარეთა შორის 2021 წლის 26 თებერვალს გაფორმებული გაუნათებელი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ღერების სარგებლობის უფლებით გადაცემის ხელშეკრულების" (შემდგომში "ხელშეკრულება") **დანართს.** დამკვეთის მიერ შეკვეთილი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ღერების ძირითადი მახასიათებლები და ფინანსური პირობები მოცემულია ცხილში:

უნიკალური ნომერი		115819
ჩართვის წერტილები		ქ/ს „ჯვარი 500", მისამართი: წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლია; ქ/ს „ზუგდიდი 220", მისამართი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი რუხი.
მომსახურების გაწევის ვადა		2021 წლის 1 მარტიდან 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით
სარგებლობაში გადასაცემი ღერ(ებ)ის რაოდენობა და მახასიათებლები		1. ოპტიკური ღერი: ორი ცალი ერთმოდიანი (Single Mode); 2. ტალღის სიგრძე: 1550 ნმ; 3. ოპტიკური სიგნალის ქრობა მთლიანი ლინკისათვის: არაუმეტეს 0.28 დბ/1 კმ-ზე; 4. LC-LC კონექტორებით ორივე მხარეს იმ შემთხვევაში, თუ კაბელი მოწოდებული იქნება კონექტორ დამაბოლოებლებით;
ყოველთვიური საფასური	**ოდენობა (GEL)**	9 000
ჯამური ღირებულება (ლარი)		27 000

1. ცხრილში მოცემული ზოგიერთი პირობის განმარტება:
   1.1. მომსახურების ყოველთვიური საფასურის გადახდა უნდა მოხდეს ყოველი შემდგომი კალენდარული თვის არაუგვიანეს 25 რიცხვისა, ხოლო თუ ეს თარიღი ემთხვევა არასამუშაო/დასვენების დღეებს, მაშინ არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.
   1.2. ცხრილში აღნიშნული ყველა თანხა მოიცავს დღგ-ს.
2. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, შემსრულებლის შემდეგი საბანკო რეკვიზიტების მეშვეობით:
   მიმღები: შპს „მაგთიკომი", ს/კ 204876606
   მომსახურე ბანკი: სს ვითიბი ბანკი ჯორჯია;
   ბანკის კოდი: ცენტრალური ფილიალი; UGEBGE22
   ანგარიშის N: GE73VT6600000000423607
3. ხელშეკრულებით განსაზღვრული შეტყობინებები იგზავნება მხარეთა შემდეგი საკონტაქტო ინფორმაციის შესაბამისად:
   დამკვეთის საკონტაქტო ინფორმაცია:

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მხრიდან ხელშეკრულების კონტროლზე პასუხისმგებელი საკონტაქტო პირი	მიხეილ სართანია / სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" რელეური დაცვის და ავტომატიკის სამსახურის უფროსი	
საკონტაქტო ინფორმაცია:	E-mail:	mikheil.sartania@gse.com.ge
	Mob.:	591645929
	Tel.:	--
	მისამართი:	---

   თუ იცვლება დამკვეთის საკონტაქტო ინფორმაცია, მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ცვლილების შესახებ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ცვლილებამდე 3 სამუშაო დღით ადრე.
4. ამ შეკვეთის ფორმაში ნახსენებ ტერმინებს აქვთ ხელშეკრულებით განსაზღვრული მნიშვნელობა.

მხარეთა ხელმოწერები:

შემსრულებელი	**დამკვეთი**
_____	_____
გენერალური დირექტორის მოადგილე	მმართველთა საბჭოს წევრი
ზურაბ ზარიძე	დავით ვარდიაშვილი

Digitally signed by MagtiCom LLC
2021.02.26 17:54:50 +0400